თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 17.08.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ნ. ხვისტანი; ზ. ლილუაშვილი; ა. მახარიაშვილი.**

აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე - **მ. მარკოზაშვილი;** ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ქიზიყელაშვილი;** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ფ. ყუშიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **ნ. ბაჩიაშვილი;** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძე;** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **გ. კირვალიძე;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გ. ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის განხილვა.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

თანამომხსენებლი - ნ. ვაყელიშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში. კერძოდ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გაკეთებული ეკონომიებით - სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება.

მან ასევე განმარტა, რომ მცირდება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 47365 ათ. ლარით; ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი - 193,073 ათ. ლარით; ასევე დასუფთავების ღონისძიებების საქონელისა და მომსახურების მუხლი 6,0 ათ. ლარით, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 34,449 ათ ლარით; ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი 9,0 ათ. ლარით.

ნ. ვაყელიშვილმა განმარტა, რომ შესაბამისად იზრდება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლი 9,0 ათ.ლარით; ბინათმშენებლობის ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი 79,45 ათ. ლარით - ქ. თელავში ერეკლე მეორეს გამზირზე #1-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად; წყალმომარაგების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 85,5 ათ.ლარით და ადგილზე არსებული ეკონომიის 20,0 ათ. ლარის გათვალისწინებით, ჯამში 105,5 ათ.ლარით - სოფ. ლეჩურში ჭაბურღილის მოსაწყობად; იზრდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთიმოწყობის სამუშაოების საქონელი და მომსახურების მუხლი 14,262 ათ. ლარით; სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 33,113 ათ.ლარით; კულტურული ღონისძიებების ხელსეწყობის საქონლი და მომსახურების მუხლი 10,362 ათ.ლარით; დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 58,2 ათ.ლარით, რომელიც დამატებით საჭიროა: ქ.თელავში გასართობისა და დასვნების პარკ "ნადიკვარზე" ამფითეატრის კონსტრუქციებისა და ტენტის მოწყობისათვის - 38,2 ათ.ლარი, ქ.თელავში „ყადორი"-ს სკვერის რეაბილიტაციისათვის - 20,0 ათ.ლარი.

<u>გადაწყვიტეს:</u> მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული წარმოდგენილი პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვა.

<u>Მოისმინეს: 2.</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის განხილვა.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ნ. ვაყელიშვილმა, ფ. ყუშიტაშვილმა, ვ. გაგნიძემ, ნ. ბაჩიაშვილმა და გ ენუქიძემ დარგობრივად წარმოადგინეს კვარტალური (6 თვე) მიმოხილვა

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ 6 თვის შემოსავლების გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, რაც იმის იმედს იძლევა, რომ შემოსავლებით კუთხით მომავალშიც კარგი მაჩვენებელი იქნება

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად მომზადდეს დასკვნა და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

(დასკვნა თან ერთვის ოქმს ერთ ფურცლად)

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. N16 ტელ: 599507972; ელ. ფოსტა: davitgogoshvili@gmail.com

N _____
__/__/____

000000-00-0-000000000000

თელავის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ შოთა ნარეკლიშვილს

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

2018 წლის 17 აგვისტოს ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვე) მიმოხილვა.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ ჩატარებული ანალიზის შესაბამისად დაადგინა, რომ შემოსავლების გეგმა 6 თვის განმავლობაში შესრულდა 108,6%-ით. რაც წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ მომავალში შეუფერხებლად განხორციელდება 2018 წლის პრიორიტეტებით დასახული პროგრამები, ქვეპროგრამები და ღონისძიებები.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვე) მიმოხილვა" კომისიამ შეაფასა დადებითად.

დავით გოგოშვილი

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია